**სსიპ "აწარმოე საქართველოში"**

**30 / აპრილი / 2024 წ.**

KA020114369723124

№ **ს-43**

# ბრძანება

## სახელმწიფო პროგრამის „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერისა“ და USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის პირობების განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 29 მაისის № 1-1/217 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობით 2024 წლის 28 მარტის N102 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“, სსიპ აწარმოე საქართველოში (შემდგომში - სააგენტო) და USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის (The USAID Financial Innovation Program) 2024 წლის 19 აპრილის მემორანდუმის (შემდგომში - მემორანდუმი) აღსრულების მიზნით, რომელიც არეგულირებს USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის ჩართულობისას განსახორციელებელ ქმედებებსა და პირობებს,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს მემორანდუმით განსაზღვრული ურთიერთანამშრომლობის პირობები ქართულ და ინგლისურ ენებზე დანართის შესაბამისად.

2. ბენეფიციარების დაფინანსებისთვის 2024 წელს USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტი განისაზღვროს დანართში მითითებული მოცულობის შესაბამისად.

3. USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის განმახორციელებელია შპს პალადიუმ გრუფ ჯორჯია (ს/კ 404680118).

4. მემორანდუმის არასავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, სააგენტო, ბრძანების დანართით განსაზღვრული B კატეგორიის ბენეფიციარების შემთხვევაში, არ არის პასუხისმგებელი შპს პალადიუმ გრუფ ჯორჯიას მიერ საბროკერო კომპანიის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების (მათი წილი თანადაფინანსების ანაზღაურება) შესრულებაზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის: ქ. თბილისი, ზ. გამსახურდიას სანაპირო N1).

სსიპ-ის „აწარმოე საქართველოში“ დირექტორი

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიხეილ ხიდურელი

***დანართი N1***

**სახელმწიფო პროგრამის „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“ და USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის ფარგლებში ურთიერთანამშრომლობის პირობები**

**1. ბენეფიციარის კატეგორიების განსაზღვრა და მათი კრიტერიუმები**

**A კატეგორიის ბენეფიციარი** - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 28 მარტის N102 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერა “შესაბამისად განსაზღვრული ბენეფიციარი.

**B კატეგორიის ბენეფიციარი -** მეწარმე სუბიექტი, რომლის წინა სამეურნეო წლის აკუმულირებული ჯამური შემოსავალი აღემატება 60 მლნ ლარს ან/და საქმიანობს ფინანსურ სექტორში.

B კატეგორიის ბენეფიციარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს მაინც:

- ფინანსური ინსტიტუტების მიერ სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მოზიდული სახსრების 75% მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის[1] ან/და მოზიდული სახსრების სულ მცირე 30% მიმართულია ქალი მეწარმე სუბიექტების[2] მხარდასაჭერად/დასაფინანსებლად;
- სასესხო ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია ქალი მეწარმე სუბიექტის მიერ;
- პროგრამის ფარგლებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდი არის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ობლიგაცია (ESG), რომელიც დასტურდება კვალიფიციური მეორე მხარის მოსაზრებით, რომელიც გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ESG ობლიგაციების ტაქსონომიის ან/და კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) ან/და ევროკავშირის მწვანე ობლიგაციების ტაქსონომიის სტანდარტების შესაბამისად.

**A და B კატეგორიის ბენეფიციარების შესაბამისობის კრიტერიუმები**

იმისთვის, რომ ბენეფიციარმა ისარგებლოს USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის მხარდაჭერით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირის 51% და მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას;
- არ გააჩნია უარყოფითი ჩანაწერი შემდეგ საერთაშორისო საჯარო მონაცემთა ბაზებში:
    1. SAM (U.S. General Services Administration System for Award Management);
    2. OFAC (U.S. Department of the Treasury Office of Foreign Assets Control Specially Designated Nationals and Blocked Persons List);
    3. UN SCSL (United Nations Security Council Sanctions List).

[1] მცირე და საშუალო ბიზნესი არის საწარმო, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 60 მილიონ ლარს და დასაქმებულთა რაოდენობა 250-ზე ნაკლებია.

[2] მეწარმე სუბიექტი განიხილება ქალების მფლობელობაში, მართულ ან დასაქმებულ საწარმოებად, თუ ისინი აკმაყოფილებენ ერთ-ერთ შემდეგ კრიტერიუმს: (1) კომპანიაში დამფუძნებელი/წილის მესაკუთრე ქალების პროცენტული მაჩვენებელი არის სულ მცირე 51%; (2) კომპანიის ხელმძღვანელ ორგანოში ქალების წილი არის სულ მცირე 30%; (3) კომპანიაში დასაქმებული ქალების პროცენტული მაჩვენებელი არის სულ მცირე 30%.

**არ დაფინანსდება ის მეწარმე სუბიექტი, რომელიც ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ საქმიანობას მაინც:**

**საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – სეკ 006-2016 (NACE-Rev-2):**

| სექცია | განყოფილება | საქმიანობის დასახელება |
|---|---|---|
| B | 05, 06, 07, 08, 09 | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება |
| C | 25 | 25.40.0 იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება |
| C | 30 | 30.40.0 სამხედრო საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებების წარმოება |
| E | 36, 37, 38, 39 | წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები |
| R | 92 | 92.00.0 აზარტული თამაშების საქმიანობები |
| S | 94 | 94.92.0 პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობები |

**ADS-ის 312-ე თავი, საქონლის დასაშვებობის შესახებ** [3]

| სექცია | ქვე-სექცია | საქონლის დასახელება |
|---|---|---|
| 312 | 312.5.4a | სამხედრო აღჭურვილობა |
| 312 | 312.5.4b | სათვალთვალო მოწყობილობა/აღჭურვილობა, როგორიცაა მიკროფონი, გადამცემი და ჩამწერი მოწყობილობა |
| 312 | 312.5.4c | პოლიციის (ან სხვა სამართალდამცავი) საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა და სერვისი |
| 312 | 312.5.4d | ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისთვის საჭირო აღჭურვილობა და სერვისი |
| 312 | 312.5.4e | ძვირადღირებული საქონელი და აზარტული თამაშების აღჭურვილობა, მათ შორის ალკოჰოლური სასმელი, ძვირფასი სამკაული ან ძვირადღირებული ქსოვილი |
| 312 | 312.5.4f | აზარტული თამაშების მოწყობილობა |
| 312 | 312.5.4g | ამინდის მოდიფიკაციის მოწყობილობა/აღჭურვილობა |

**სასესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მოზიდული სახსრები არ უნდა იქნას გამოყენებული შემდეგი მიზნობრიობით:**

**საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – სეკ 006-2016 (NACE-Rev-2):**

| სექცია | განყოფილება | საქმიანობის დასახელება |
|---|---|---|
| A | 01 | 01.15.0 თამბაქოს მოყვანა |
| B | 05, 06, 07, 08, 09 | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება |
| C | 11 | 11.01.0 სპირტიანი სასმელების დისტილირება, რექტიფიცირება და შერევა |
| C | 11 | 11.04.0 სხვა არადისტილირებული, ფერმენტირებული სასმელების წარმოება |

[3] *ADS მოიცავს პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც არეგულირებს USAID-ის პროგრამებსა და ოპერაციებს. ADS-ის 312-ე თავი მოიცავს საქონლის დასაშვებობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც ფინანსდება USAID-ის პროგარმის სახსრებით.*

| | | |
|---|---|---|
| C | 12 | 12.00.0 თამბაქოს ნაწარმის წარმოება |
| C | 25 | 25.40.0 იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება |
| C | 30 | 30.40.0 სამხედრო საბრძოლო სატრანსპორტო საშუალებების წარმოება |
| E | 36, 37, 38, 39 | წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები |
| G | 46 | 46.34.1 საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით |
| G | 46 | 46.35.0 საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს პროდუქტებით |
| G | 47 | 47.25.0 საცალო ვაჭრობა სასმელებით სპეციალიზებულ მაღაზიებში |
| G | 47 | 47.26.0 საცალო ვაჭრობა თამბაქოს ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში |
| R | 92 | 92.00.0 აზარტული თამაშების საქმიანობები |
| S | 94 | 94.92.0 პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობები |

**ADS-ის 312-ე თავი, საქონლის დასაშვებობის შესახებ**

| სექცია | ქვე-სექცია | საქონლის დასახელება |
|---|---|---|
| 312 | 312.5.4a | სამხედრო აღჭურვილობა |
| 312 | 312.5.4b | სათვალთვალო მოწყობილობა/აღჭურვილობა, როგორიცაა მიკროფონი, გადამცემი და ჩამწერი მოწყობილობა |
| 312 | 312.5.4c | პოლიციის (ან სხვა სამართალდამცავი) საქმიანობისთვის საჭირო აღჭურვილობა და სერვისი |
| 312 | 312.5.4d | ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისთვის საჭირო აღჭურვილობა და სერვისი |
| 312 | 312.5.4e | ძვირადღირებული საქონელი და აზარტული თამაშების აღჭურვილობა, მათ შორის ალკოჰოლური სასმელი, ძვირფასი სამკაული ან ძვირადღირებული ქსოვილი |
| 312 | 312.5.4f | აზარტული თამაშების მოწყობილობა |
| 312 | 312.5.4g | ამინდის მოდიფიკაციის მოწყობილობა/აღჭურვილობა |

## 2. საბროკერო კომპანიის შესაბამისობის კრიტერიუმები

საბროკერო კომპანია არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული საბროკერო კომპანია, რომელთანაც შპს პალადიუმ გრუფ ჯორჯია (შემდგომში - პალადიუმი) აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას და რომელსაც არ გააჩნია უარყოფითი ჩანაწერი შემდეგ საერთაშორისო საჯარო მონაცემთა ბაზებში:

1. SAM (U.S. General Services Administration System for Award Management);
2. OFAC (U.S. Department of the Treasury Office of Foreign Assets Control Specially Designated Nationals and Blocked Persons List);
3. UN SCSL (United Nations Security Council Sanctions List)

საბროკერო კომპანიამ პალადიუმთან ხელშეკრულების გაფორმებისათვის უნდა მოიპოვოს UEI ნომერი და დარეგისტრირდეს SAM.gov პლატფორმაზე. საბროკერო კომპანია ასევე ვალდებულია **პალადიუმთან** ხელშეკრულების გაფორმებამდე გაიაროს პასუხისმგებლობის განსაზღვრის

პროცესი, რომელსაც წარმართავს თავად პალადიუმი. ამასთან, პალადიუმი გააფორმებს ხელშეკრულებას ისეთ საბროკერო კომპანიებთან, რომლებიც ზემოაღნიშნული პროცესის შესაბამისად მიჩნეულ იქნებიან მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტებად.

## 3. თანადაფინანსების ადმინისტრაციული პროცესი

A კატეგორიის ბენეფიციარების თანადაფინანსება ხორციელდება სსიპ-სა აწარმოე საქართველოში (შემდგომში - სააგენტო) და საბროკერო კომპანიას, ასევე საბროკერო კომპანიასა და პალადიუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

B კატეგორიის ბენეფიციარების შემთხვევაში სააგენტო და პალადიუმი უზრუნველყოფენ ქვემოთ ჩამოთვლილი აქტივობების/ქმედებების განხორციელებას:

| |
|---|
| პროგრამაში მონაწილეობის მსურველი მეწარმე სუბიექტი (შემდგომში - აპლიკანტი) მიმართავს სააგენტოს განაცხადით (ელ-ფოსტის ან სხვა ელექტრონული მისამართის საშუალებით). ამასთან, განაცხადის ფორმა იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე. გასათვალისწინებელია, რომ განაცხადის ფორმის შევსებისას აპლიკანტს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი საბროკერო კომპანია ან დატოვოს ველი ცარიელი, რა შემთხვევაშიც სააგენტო გაუგზავნის განაცხადს ყველა იმ საბროკერო კომპანიას, რომელთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება[4]. |
| საბროკერო კომპანია, მის მიერ განაცხადის დადასტურების შემდგომ, აფორმებს მეწარმე სუბიექტთან შესაბამის მომსახურების ხელშეკრულებას და ამზადებს დასკვნას[5], რომელიც იგზავნება სააგენტოში. |
| სააგენტო, თავის მხრივ, უგზავნის პალადიუმს საბროკერო კომპანიის მიერ მომზადებულ დასკვნას. |
| სააგენტოსგან დასკვნის მიღების შემდგომ, პალადიუმი საბროკერო კომპანიას 10 სამუშაო დღეში აცნობებს გადაწყვეტილებას აპლიკანტის პროგრამაში ჩართვის თაობაზე. |
| პალადიუმის მიერ დასკვნის დადასტურების შემთხვევაში აპლიკანტს ენიჭება ბენეფიციარის სტატუსი. საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასურის (საკომისიო) დაფინანსების მიზნით, პალადიუმსა და საბროკერო კომპანიას შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ყოველი B კატეგორიის ბენეფიციარის დასკვნის დადასტურების შემდგომ, პალადიუმი უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას საბროკერო კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. |
| თითოეულ საბროკერო კომპანიას B კატეგორიისთვის შეუძლია შემოიტანოს მაქსიმუმ ორი დასკვნა. ეს ლიმიტი არ ვრცელდება იმ დასკვნებზე, რომლებსაც თან ახლავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პროსპექტი[6]. ბენეფიციარის სტატუსის მინიჭებიდან 3 თვის ვადაში საბროკერო კომპანიამ პალადიუმს უნდა წარუდგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ |

[4] საბროკერო კომპანიები, რომლებმაც გამოთქვეს „კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის სურვილი, რომლის შედეგად სააგენტოსთან გააფორმეს შესაბამისი ხელშეკრულება.

[5] დასკვნის მიზანია შეაფასოს მეწარმე სუბიექტის შესაძლებლობა სასესხო ფასიანი ქაღალდების წარმატებით განთავსებასთან დაკავშირებით.

[6] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

| |
|---|
| დამტკიცებული პროსპექტი, წინააღმდეგ შემთხვევაში დასკვნა ჩაითვლება გაუქმებულად/ანულირებულად ამ კონკრეტული განაცხადისთვის. |
| პალადიუმისთვის, საბროკერო კომპანიის მიერ წარდგენილ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ პროსპექტში არსებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს ამ დანართის პირველი მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასკვნა ჩაითვლება გაუქმებულად/ანულირებულად ამ კონკრეტული განაცხადისთვის. |
| ბენეფიციარმა, პალადიუმისთვის შესაბამისი დასკვნის ფარგლებში დამტკიცებული პროსპექტის მიწოდებიდან, 12 თვის ვადაში უნდა განახორციელოს სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსება. ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში, განაცხადი ჩაითვლება გაუქმებულად/ანულირებულად. |
| სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსების შემდგომ, პალადიუმის მიერ საკომისიოს ანაზღაურება განხორციელდება საბროკერო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. |

## 4. თანადაფინანსების ლიმიტები და ბიუჯეტი

**საკომისიოს თანადაფინანსების სქემა A კატეგორიის ბენეფიციარებისთვის**

**A კატეგორიის ბენეფიციარის შემთხვევაში** სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში **პალადიუმი** განახორციელებს საბროკერო კომპანიისთვის ასანაზღაურებელი მომსახურების საფასურის (საკომისიო) თანადაფინანსებისთვის განსაზღვრული მთლიანი თანხის 50%-ს ანაზღაურებას, რომელიც გამოითვლება დადგენილებისა და ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად. ამასთან, თანადაფინანსების ჯამური მოცულობის დაანგარიშებისას გაითვალისწინება როგორც გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მოცულობა, ასევე ბენეფიციარის წინა სამეურნეო წლის განმავლობაში აკუმულირებული ჯამური შემოსავალი, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული პროპორციების დაცვით:

| | 20 მლნ-მდე ბრუნვის კომპანია | 20-40 მლნ-მდე ბრუნვის კომპანია | 40-60 მლნ-მდე ბრუნვის კომპანია |
|---|---|---|---|
| 10 მლნ ლარის ჩათვლით განთავსება | 1% | 0.7% | 0.5% |
| 10 მილიონ ლარს ზევით განთავსება | 0.7% | 0.7% | 0.5% |

დადგენილება ითვალისწინებს გარკვეულ პრიორიტეტულ გარემოებებს, რომლის დროსაც ამ მუხლით განსაზღვრული თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი თითოეულ შემთხვევაში დამატებით შეიძლება გაიზარდოს ქვემოთ მოცემული პროცენტული პუნქტით, თუმცა არაუმეტეს დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური მოცულობისა:

ა) ბენეფიციარი პირველად ახდენს ფასიანი ქაღალდების განთავსებას - 0.2%;

ბ) პროგრამის ფარგლებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდი არის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ობლიგაცია (ESG), რომელიც დასტურდება შესაბამისი კვალიფიციური მეორე მხარის მოსაზრებით - 0.1%[7];

გ) სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსება მოხდება ეროვნულ ვალუტაში - 0.2%.

**საკომისიოს დაფინანსების სქემა B კატეგორიის ბენეფიციარებისთვის.**

B კატეგორიის ბენეფიციარის მიერ სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსებისთვის, საკომისიოს დაფინანსება განხორციელდება **მხოლოდ USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამით გამოყოფილი სახსრებით.** პალადიუმი დააფინანსებს საკომისიოს, სასესხო ფასიანი ქაღალდების განთავსების 1%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 150,000 ლარისა. იმ შემთხვევაში, თუ ობლიგაციების განთავსება მოითხოვს მეორე მხარის მოსაზრებას, პალადიუმი უზრუნველყოფს დამატებით დაფინანსებას 50,000 ლარის ოდენობით, რა დროსაც პალადიუმის მიერ გადასახდელი ჯამური თანხის ოდენობა არ აღემატება 200,000 ლარს.

## 5. ბიუჯეტი

USAID-ის ფინანსური ინოვაციების პროგრამის ფარგლებში **A კატეგორიის** ობლიგაციების თანადაფინანსებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს 500,000 ლარს, ხოლო ფარგლებში **B კატეგორიის** ობლიგაციების დაფინანსებისთვის გამოყოფილი **ბიუჯეტი** შეადგენს 1,000,000 ლარს.

პროგრამის ბიუჯეტის ათვისება ხდება პრინციპით „დროში პირველი, უფლებაში პირველი“ (first-come, first-served).

სააგენტო შეაჩერებს პალადიუმისთვის დასკვნების გაგზავნას მას შემდეგ, რაც თითოეული კატეგორიის ბენეფიციარებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი მიაღწევს ზედა ზღვარს. პალადიუმი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს ბიუჯეტის ამოწურვის შესახებ.

[7] მეორე მხარის მოსაზრება (SPO) ორგანიზაციისგან, რომელიც გაცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის ESG ობლიგაციების ტაქსონომიის ან/და კაპიტალის ბაზრის საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) ან/და ევროკავშირის მწვანე ობლიგაციების ტაქსონომიის სტანდარტების შესაბამისად.

*<u>Annex 1</u>*

## Cooperation terms within the framework of Capital Market Support State Program and USAID Financial Innovation Program (Program)

### 1. Definition of Categories of Beneficiaries and Eligibility Criteria

**Category A** Beneficiary – Eligible companies as defined in the N102 Decree of the GoG, dated March 28, 2024 (here and after Decree of GoG).

**Category B** Beneficiary – Enterprises, with an annual turnover of more than GEL 60 million and/or operating in the finance sector.

In order to qualify for co-financing under the Category B, the issuance shall meet at least one of the following criteria:

- The Bond issuer (Beneficiary) is a financial institution where at least 75% of raised funds are directed for SME[8] financing and/or at least 30% of raised funds are directed for financing of female owned, managed, or employing enterprises[9].
- The Bond issuer is a female owned, managed, or employing enterprise.
- The Bond Issuance is an Environmental, Social, or Governance (ESG) Bond as defined by the National Bank of Georgia's Taxonomy on ESG Bonds, or International Capital Market Association (ICMA), EU Green Bond Taxonomy, or Climate Bond Initiative certification and substantiated by a Second Party Opinion (SPO) from an organization that is authorized to issue such an opinion on behalf of one of the above certifying bodies.

**<u>Eligibility criteria for co-financing within the frame of Program for A and B Categories</u>**

The issuer of either Category Beneficiary shall be a majority (at least 51%) privately owned enterprise registered as a business in Georgia and in compliance with Georgian legislation.

The bond issuer company must not have any active "exclusion" or negative records in the following international public databases:

- SAM (U.S. General Services Administration System for Award Management);
- OFAC (U.S. Department of the Treasury Office of Foreign Assets Control Specially Designated Nationals and Blocked Persons List);

---

[8] SME is an enterprise with an annual turnover below GEL 60 million and with number of employees below 250.
[9] Companies are considered female owned, managed, or employing enterprises if they satisfy one of the following criteria: (1) Women owned - share of the women ownership in the enterprise is at least 51%. (2) Women managed - 30% or more of senior management in the enterprise are women or 30% or more of the board of directors in the enterprise are women. (3) Women employing - number of women employees in the enterprise equals or is over 30%.

- UN SCSL (United Nations Security Council Sanctions List)

**The issuer that carries out at least one of the following activities shall not be eligible for financing by the Program:**

**National Classifier of Georgia- SEC006-2016 (NACE-Rev-2)**

| Section | Sub-section | Name of activity |
|---|---|---|
| B | 05, 06, 07, 08, 09 | Mining and quarrying industry |
| C | 25 | 25.40.0 production of weapons and ammunition |
| C | 30 | 30.40.0 Production of military combat vehicles |
| E | 36, 37, 38, 39 | Water supply, sewerage, waste management and remediation |
| R | 92 | 92.00.0 Gambling |
| S | 94 | 94.92.0 Activities of political organizations |

**ADS Chapter 312 Eligibility of Commodities**[10]

| **Section** | **Sub-section** | **Ineligible Commodities** |
|---|---|---|
| 312 | 312.5.4a | MILITARY EQUIPMENT |
| 312 | 312.5.4b | SURVEILLANCE EQUIPMENT |
| 312 | 312.5.4c | COMMODITIES AND SERVICES FOR SUPPORT OF POLICE |
| 312 | 312.5.4d | ABORTION EQUIPMENT AND SERVICES |
| 312 | 312.5.4e | LUXURY GOODS |
| 312 | 312.5.4f | GAMBLING EQUIPMENT |
| 312 | 312.5.4g | WEATHER MODIFICATION EQUIPMENT |

**Funds raised from the issuance of debt should not be used for the following purposes:**

**National Classifier of Georgia- SEC006-2016 (NACE-Rev-2)**

| Section | Sub-section | Name of activity |
|---|---|---|
| A | 01 | 01.15.0 Tobacco production |
| B | 05, 06, 07, 08, 09 | Mining and quarrying industry |
| C | 11 | 11.01.0 Distillation, rectification and mixing of alcoholic beverages |
| C | 11 | 11.04.0 Manufacture of other non-distilled, fermented beverages |
| C | 12 | 12.00.0 Production of tobacco products |
| C | 25 | 25.40.0 Production of weapons and ammunition |
| C | 30 | 30.40.0 Production of military combat vehicles |
| E | 36, 37, 38, 39 | Water supply, sewerage, waste management and remediation |
| G | 46 | 46.34.1 Wholesale of alcoholic beverages |
| G | 46 | 46.35.0 Wholesale of tobacco products |

[10] *ADS contains the policies and procedures that guide USAID's programs and operations. ADS Chapter 312 covers the policies on the eligibility of commodities for financing with program funds.*

| | | |
|---|---|---|
| G | 47 | 47.25.0 Retail sale of beverages in specialized stores |
| G | 47 | 47.26.0 Retail sale of tobacco products in specialized stores |
| R | 92 | 92.00.0 Gambling activities |
| S | 94 | 94.92.0 Activities of political organizations |

**ADS Chapter 312 Eligibility of Commodities**

| Section | Sub-section | Ineligible Commodities |
|---|---|---|
| 312 | 312.5.4a | MILITARY EQUIPMENT |
| 312 | 312.5.4b | SURVEILLANCE EQUIPMENT |
| 312 | 312.5.4c | COMMODITIES AND SERVICES FOR SUPPORT OF POLICE |
| 312 | 312.5.4d | ABORTION EQUIPMENT AND SERVICES |
| 312 | 312.5.4e | LUXURY GOODS |
| 312 | 312.5.4f | GAMBLING EQUIPMENT |
| 312 | 312.5.4g | WEATHER MODIFICATION EQUIPMENT |

## 2. Eligibility Criteria for Brokerage Companies

At a minimum, a Brokerage Company must have an active license issued by the National Bank of Georgia in compliance with the Law of Georgia "On the Securities Market" to be eligible for contracting by the **Palladium Group Georgia LLC** (hereinafter referred to as "Palladium") for the purpose of assisting the Applicant companies in placing Bonds.

In addition, a Brokerage Company must not have any active "exclusions" or negative records in the following international public databases:

- SAM (U.S. General Services Administration System for Award Management);
- OFAC (U.S. Department of the Treasury Office of Foreign Assets Control Specially Designated Nationals and Blocked Persons List);
- UN SCSL (United Nations Security Council Sanctions List).

Before signing a subcontract with the Palladium, the Brokerage Company will be required to obtain a UEI number and register on SAM.gov. The Brokerage Companies will also undergo the responsibility determination process conducted by the Palladium. Palladium will issue agreement to prospective subcontractors that are deemed responsible after completing the required due diligence conducted by the Palladium.

## 3. Administrative process of co-financing success fee

The co-financing for **Category A** beneficiaries is carried out in accordance with agreements signed with LEPL Enterprise Georgia (hereinafter – Agency) and Brokerage Company, as well as between the Brokerage Company and Palladium.

In the case of **Category B** beneficiaries, the Agency and the Palladium undertake the implementation of the activities/actions listed below:

**The following defines the steps which the Palladium and the Agency will follow for the activities under this cooperation.**

| |
|---|
| The Agency receives applications from applicant companies via email address or link, publicly available on Agency's official website. While the applicant has an option to choose their preferred Brokerage Company during the application process, they are also allowed to leave the field blank in their application. In this case the Agency will send the application to all participating[11] Brokerage Companies (at the moment of submission of an application) to work on the Bond issuance Deals. |
| If the Brokerage Company accepts the application, the Brokerage Company concludes a service contract with the Applicant and prepares an Opinion Paper [12] (OP) for the Agency's consideration. OP is then submitted to the Agency. |
| The Agency sends the Opinion Paper (OP) issued by the Brokerage Company to the Palladium. |
| After receiving the OP from the Agency, the Palladium provides consent or rejection (based on criteria provided in article 1 of this Annex) to the Brokerage Company within 10 working days for financing the success fee for Category B Bond placement according to the Article 4 of this Annex. |
| Once the Palladium provides consent, at this point the Applicant Company is granted a Beneficiary status, and a subcontract is signed between the Palladium and the Brokerage Company. For the follow-on applications by subcontracted Brokerage Companies, the Palladium will issue amendments to subcontracts. |
| Each Brokerage Company can submit OPs for a maximum of two Bond Placement deals (This limit does not apply to the OPs accompanied by approved Prospectus[13]. The Beneficiary status will be reserved by the Palladium for 3 months. If an NBG approved prospectus is not received within this period, the OP is considered annulled for this specific Deal. |
| When the Palladium receives an approved Prospectus, the information within must comply with criteria defined in article 1 of this Annex, otherwise, the OP for the specific Deal is considered annulled. |
| Once the Palladium receives an approved Prospectus, the Palladium gives the Beneficiary a total of 12 months to close the Deal. In case of breach of this timeline, the Deal will be considered annulled. |
| After the successful placement of Bonds, the payment of the success fee shall be carried out according to the subcontract concluded between the Brokerage Company and the Palladium. |

[11] Participating Brokerage Companies, which have expressed their interest in working with the Agency within a frame of Decree of GoG and concluded a relevant agreement with the Agency.
[12] The purpose of the Opinion Paper is to determine the Bond emission potential of the applicant enterprise, check the criteria defined by the Decree of GoG and provide an adequate conclusion on the above.
[13] According to the Law of Georgia "On the Securities Market"

## 4. Limits and Amounts of Co-financing

**Co-financing scheme of success fee for Category A Bond**

For Category A beneficiaries, the Palladium will pay 50% of the total co-financing amount, calculated according to the table below based on the Decree of GoG. Additionally, when calculating the total co-financing volume, the amounts will vary based on the volume of issued bonds and the total income accumulated during the previous calendar year by the Beneficiary Company, per the limits specified in the table below:

| Company Revenue / Placement size | < 20 mln GEL | 20 – 40 mln GEL | 40 – 60 mln GEL |
|---|---|---|---|
| **<=10 mln GEL** | 1% | 0.7% | 0.5% |
| **> 10 mln GEL** | 0.7% | 0.7% | 0.5% |

The Decree of GoG accounts for certain priority circumstances, in which the percentage of co-financing specified in the table above may increase in each of the following cases, so long as such increase does not exceed the maximum financing volume allowable by the Decree of GoG:

- When the beneficiary issues Bonds for the first time – additional 0.2% of the size of the Bond Placement is payable to the Brokerage Company;
- When the Bond Placement is an environmental, social, and governance (ESG) bond, confirmed by a relevant qualified second-party opinion (SPO[14]) - additional 0.1% of the size of the Bond Placement is payable to the Brokerage Company;
- When securities are placed in the national currency – additional 0.2% of the size of the Bond Placement is payable to the Brokerage Company.

**<u>Financing scheme of success fee for Category B:</u>**

For Category B Bond Placement, the success fee will be financed solely by the Program funds, with the Agency's coordination. The Palladium will finance the success fee of 1% of the Bond placement, not exceeding 150,000 GEL. In case the Bond placement requires an SPO, the Palladium will provide additional financing of 50,000 GEL. The total payment by the Palladium for the Bond placement requiring SPO shall not exceed 200,000 GEL.

[14] Second Party Opinion (SPO) from an organization that is authorized to issue such an opinion on behalf of one of the following certifying bodies: The National Bank of Georgia's Taxonomy on ESG Bonds, or International Capital Market Association (ICMA), EU Green Bond Taxonomy, or Climate Bond Initiative certification

## 5. Budget

The Program will allocate the total budget of 500,000 GEL for Category A and 1,000,000 GEL for Category B and bond placement . Allocation is on a first-come, first-served basis.

The Agency will suspend sending OPs to the Palladium once the Program's budget ceiling for each Categories Bond Placements set in this article is reached. The Palladium should immediately inform the Agency about budget exhaustion.